

შპს "მეტაკოს" წარმომადგენლობა საქართველოში (ს/კ 406081788)

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა "მეტაკოს" წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში „პარტნიორობა“) წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული შპს „METACO“ - ს შვილობილ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია 2012 წელს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406081788.
- 1.2. პარტნიორობა წარმოადგენს მრავალპროფილიან საავადმყოფოს რომელიც მოსახლეობას აწვდის, როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ მომსახურებას.
- 1.3. პარტნიორობის იურიდიული მისამართია: თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N 78 და წარმოდგენილია ორი: ქუთაისისა და ოზურგეთის ცენტრებით.
- 1.4. პარტნიორობა არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 2.1. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად. პარტნიორობის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;
- 2.2. პარტნიორობის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი, პარტნიორობა მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, საიდანაც ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.
- 2.3. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ პარტნიორობა განაგრძობს ფუნქციონირებას

პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

2.4. პარტნიორობის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ პარტნიორობის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

2.6. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე

2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით;

2.9. პარტნიორობა იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;

2.10. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის

საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- 2.11. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
- 2.12. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.13. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო და საპენსიო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.14. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.15. პარტნიორობის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი პარტნიორობის კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.17. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს ((შენიშვნებით);
 - შემოსავლების და ხარჯების შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.



შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
მიწა	1	-	-
ძირითადი საშუალებები	1	1,382,962.00	1,635,771.00
არამატერიალური აქტივები	1	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,382,962.00	1,635,771.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	356,162.00	350,167.00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	447,714.00	275,911.00
გადახდილი ავანსები	3	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	141,121.00	48,230.00
სულ მიმდინარე აქტივები		944,997.00	674,308.00
სულ აქტივები		2,327,959.00	2,310,079.00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	1,612,578.00	1,389,136.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5	2,810.00	9,953.00
საგადასახადო ვალდებულებები	6	- 63.00	- 104.00
სასესხო ვალდებულებები	7	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,615,325.00	1,398,985.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	1,541,016.00	1,541,016.00
გაუნაწილებელი მოგება	8	- 828,382.00	- 629,922.00
სულ კაპიტალი		712,634.00	911,094.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,327,959.00	2,310,079.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



[Handwritten signature in blue ink]


შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლების და ხარჯების
ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6,000	შემოსავალი რეალიზიციიდან	2,000,408.00
8,000	არასაოპერაციო შემოსავლები	1,126,131.00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>3,126,539.00</u>
	<u>ხარჯები</u>	
7,110	გაყიდული/შემძენილი საქონელი	1,496,748.00
7,121	შრომის ანაზღაურება	983,487.00
7,416	კომუნიკაციის ხარჯები	6,582.00
7,415	კომუნალური ხარჯები	85,840.00
7,440	რემონტი	43,612.00
7,450	საკონსულტაციო ხარჯები	3,000.00
7,417	საწვავის ხარჯი	17,754.00
7,418	სამეურნეო ხარჯი	1,440.00
7,455	ცვეთა და ამორტიზაცია	502,539.00
7,426	საკანცელარიო ხარჯი	9,104.00
749	სხვა საერთო ხარჯი	174,893.00
	<u>სულ ხარჯი</u>	<u>3,324,999.00</u>
	მოგება	- 198,460.00
	მოგების განაწილება	
	დარჩენილი მოგება	- 198,460.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	მიწის ნაკვეთები	-
2	შენობა-ნაგებობები	-
3	მანქანა-დანადგარები	1,352,285.00
4	ოფისის აღჭურვილობა	22,562.00
5	სატრანსპორტო საშუალებები	8,115.00
6	არამატერიალური აქტივები	-
	სულ ძირითადი საშუალებები	1,382,962.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სასაქონლო-მატერიალური მარაგები	356,162.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება;
გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	420,200.00
2	მოთხოვნები ინდივიდებიდან	26,794.00
3	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	720.00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	447,714.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სალარო	2,407.00
2	ბანკი	138,714.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	141,121.00

დირექტორი:



ბუღალტერი:

შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

შენიშვნა 5 - სავაჭრო და თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სავაჭრო ვალდებულებები	1,612,578.00
2	თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	2,810.00
	<u>ჯამი</u>	<u>1,615,388.00</u>

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "მეტაკოს წარმომადგენლობა საქართველოში" (ს/კ 406081788)

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	საგადასახადო ვალდებულებები	- 63.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	- 63.00

დირექტორი:



ბუღალტერი:

შენიშვნა 8 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი
1	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	- 629,922.00	1,541,016.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	- 198,460.00	
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა	-	-
4	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	- 828,382.00	1,541,016.00

დირექტორი:

ბუღალტერი:

